მთიან რეგიონში სამთო მოთხილამურეთა მაშველთა სახლის ესკიზურ პროექტზე
სტუდენტური არქიტექტურული კონკურსის პროგრამა და პირობები

საკონკურსო პირობები შემუშავებულია UNESCO-*ს და* UIA-*ს*
*„ **არქიტექტურული კონკურსების მოწყობის საერთაშორისო სანიმუშო დებულების**“ პრინციპების გათვალისწინებით.*

კონკურსის პროგრამა და პირობები შეთანხმებულია

კონკურსის ორგანიზატორი:

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი

კავშირის თავმჯდომარე:
დავით აბულაძე

კონკურსის დამკვეთი:

SKIA–საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მოთხილამურე არქიტექტორთა კლუბი.
კლუბის პრეზიდენტი:
გოჩა მიქიაშვილი

კონკურსის მხარდამჭერები:

1. ელექტროსამონტაჟო ფირმა "ინსტა", დირექტორი **გიორგი ბახსოლიანი**
2. არქიტექტურული ფირმა "არტსტუდიო" დირექტორი **გიორგი სულაბერიძე**
3. არქიტექტურული ფირმა "არტლაბი" დირექტორი **გიორგი ჭკუასელი**

პრეამბულა

საქართველოს მთიანი რეგიონები გამოირჩევა მრავალფეროვანი ლანდშაფტური მახასიათებლებით. შემთხვევითი არაა, რომ ეს რეგიონები (კავკასიონი, თრიალეთი, მთიანი აჭარა, სვანეთი) სულ უფრო მეტად იზიდავს სამთო თხილამურებით სრიალის მოყვარულ ადამიანებს, რომლებსაც საუცხოო სპორტულ ტრასებთან და კეთილმოწყობილ სასტუმროებთან ერთად უშუალო შეხება უწევთ მდიდარ ტრადიციებთან და უნიკალურ კულტურასთან. ვიზიტორთათვის ხელმისაწვდომი ხდება მრავალფეროვანი და ყოველწლიურად მზარდი ტურისტული, თუ მაღალმთიანი ალპიური ინფრასტრუქტურა. ექსტრემალური სიტუაციებიდან გამომდინარე, რომელშიც სამთო სათხილამურო სპორტის მოყვარულები მონაწილეობენ, ხშირია მათვის სამაშველო დახმარების აუცილებლობა, რასაც, სამედიცინო პერსონალთან ერთად, ამ კურორტებზე მუდმივად მომსახურე მაშველები ახორციელებენ. შესაბამისად აუცილებელია მათთვის სათანადოდ აღჭურვილი შენობის არსებობა, სადაც ისინი ახდენენ, როგორც საკუთარი ფიზიკური ძალების აღდგენას და დაშავებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას.
აღნიშნულიდან გამომდინარე მაშველთა სახლი სფეციფიკურია, როგორც ფუნქციური, ასევე არქიტექტურული და სამთო სათხილამურო ზონაში მისი განთავსების ადგილის შერჩევის თვალსაზრისით.

1. **ზოგადი ნაწილი**:

1.1. კონკურსის ორგანიზატორი, კონკურსის დამკვეთი და კონკურსის ორგანიზატორები შეთანხმდნენ მოთხილამურე არქიტექტორთა კლუბის 2020 წლის შეჯიბრების ფორმატში გაიმართოს **მთიან რეგიონში სამთო მოთხილამურეთა მაშველთა სახლის ესკიზურ პროექტზე სტუდენტური არქიტექტურული კონკურსი**.

1.2. კონკურსი ტარდება არქიტექტურული კონკურსების გამართვის საერთაშორისოდ აღიარებული სახელმძღვანელო პრინციპების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების, კონკურსის ორგანიზატორისა და დამკვეთის მიერ შეთანხმებული პირობების საფუძველზე.

2. **კონკურსის მიზანი**:

2.1. კონკურსის მიზანია სამთო-სათხილამურო სპორტში არქიტექტორთა ჩართულობის პოპულარიზაცია და სტუდენტური კონკურსების, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო საშუალების, სტიმულირებით აღნიშნულის ხელშეწყობა.

3. **კონკურსის ამოცანა**:

3.1. კონკურსის ამოცანაა მთიან რეგიონში, სამთო-სათხილამურო სპორტისთვის დამახასიათებელ რელიეფზე მდებარე, ნულიდან ოც პროცენტამდე ქანობის, განზოგადებულ ტერიტორიაზე სამთო მოთხილამურე მაშველთა სახლის საუკეთესო სივრცით-მოცულობითი და არქიტექტურულ-გეგმარებითი ესკიზური პროექტის გამოვლენა.

4. **კონკურსის პირობები**:

4.1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ არქიტექტურის ფაკულტეტების სტუდენტებმა - ბაკალავრებმა და მაგისტრანტებმა, როგორც დამოუკიდებლად, ასევე საავტორო ჯგუფების სახით.

4.2. კონკურსი ღია და ანონიმურია, ერთტურიანია და მასში მონაწილეობა უფასოა.

4.3. კონკურსი მონაწილეების მიერ თითეულ საკონკუსო მასალას, რომელიც უნდა წარადგინონ საქართველოს არქიტექტორთა კავშირში, პროექტის იდენტიფიცირებისა და ავტორთა ანონიმურობის დაცვის მიზნით, ენიჭება სარეგისტრაციო კოდი, შესაბამისად საკონკურსო პროექტების ავტორის ან ავტორთა ჯგუფის ვინაობა ცნობილი გახდება ჟიურის საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დალუქული კონვერტების გახსნისას.

4.4.კონკურსის პირობების (წარსადგენი მასალის შემადგენლობა და ფორმატი, პროექტის ჩაბარების ვადები და ა.შ.) დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის. სარეგისტრაციო კოდის გარეშე კონკურსზე პროექტი არ განიხილება.

4.5. საკონკურსო ტერიტორია, რომელიც უნდა შეადგენდეს არაუმცირეს 300 მ2-ს კონკუნსარტმა უნდა შეაირჩიოს 5.1.ბ. პუნქტში მითითებული ტოპოგრაფიული ნახაზიდან.

4.6. კონკურსი ჩაითვლება შემდგარად თუ წარმოდგენილი იქნება წინამდებარე პროგრამის და პირობების მოთხოვნების შესაბამისი მინიმუმ სამი საკონკურსო პროექტი.

4.7. საკონკურსო მასალის წარდგენა და საკონკურსო საქმიანობა წარიმართება ქართულად.

5. **კონკურსანტზე გასაცემი მასალები**:

5.1.

ა) პროგრამა და პირობები;

ბ) ტერიტორიის ტოპოგრაფიული ნახაზი მასშტაბი 1:500

5.2.კონკურსის პროგრამის, პირობებისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს არქიტექტორთა კავშირის კონკუსების ვებ გვერდზე www.competition.archinfo.ge, SKIA-ს facebook გვერდზე (https://www.facebook.com/SKIAclub/) და ასევე საქართველოს არქიტექტორთა კავშირში, მისამართზე: ქ.თბილისი, დავით

აღმაშენებლის გამზირი 89/24, III სართული, ტელეფონი: 291- 01- 16, მობ. 568- 91-01-16 კონკურსის პასუხისმგებელ მდივანთან- მობ.: 599-26-40-49.

6. **კონკურსზე წარსადგენ მასალათა ჩამონათვალი**:

6.1.საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს მსუბუქი მასალისგან დამზადებულ A-2 ზომის არაუმეტეს 2 ვერტიკალურ პლანშეტზე ნაბეჭდი პროექტის სახით;

6.2. კონკურსის ყველა მონაწილემ საკონკურსო წინადადება ასევე უნდა წარმოადგინოს ელექტრონულ ვერსიაში (CD/DVD);

6.4. საკონკურსო წინადადებას აუცილებლად უნდა ახლდეს ორ ეგზემპლარად ამობეჭდილი განმარტებითი ბარათი (A-4 ზომის ფორმატი, №12 შრიფტი), რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 2 გვერდს;

6.5. წარმოსადგენია ასევე დალუქული კონვერტი, რომელშიც იქნება ინფორმაცია ავტორის (ავტორების) შესახებ. სასწავლო დაწესებულების, სასწავლო კურსის და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.

6.6. კონკურსზე წარსადგენ ყველა მასალაზე (CD/DVD, განმარტებით ბარათზე, დალუქულ კონვერტზე, პლანშეტებზე) მარჯვენა ზედა კუთხეში აღნიშნული უნდა იყოს სარეგისტრაციო კოდი, რომელიც მიენიჭება საკონკურსო მასალის წარდგენისას - კონკურსის პასუხისმგებელ მდივანთან. დაუშვებელია სადემონსტრაციო მასალებზე ავტორთა, რაიმე სახით პირდაპირი ან ირიბი, მითითება.

7. **კონკურსის კალენდარი**:

7.1. კონკურსის გამოცხადდება 2020 წლის 14 იანვარს საქართველოს არქიტექტორთა კავშირის კონკუსების ვებ გვერდზე www.competition.archinfo.ge, და SKIA-ს facebook **გვერდზე** (https://www.facebook.com/SKIAclub/).

7.2. საკონკურსო მასალები ხელმისაწვდომია 2020 წლის 14 იანვრიდან.

7.3. საკონკურსო მასალების ჩაბარების ბოლო ვადაა 2020 წლის 23 თებერვლის 18.00 საათამდე. **დაგვიანებული პროექტები კონკურსზე არ დაიშვება.**

7.4. საკონკურსო მასალების ჩაბარება და სარეგისტრაციო კოდის მინიჭება წარმოებს **საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ოფისში**, კონკურსის პასუხისმგებელ მდივანთან - **ნუგზარ დუდუჩავასთან**, მისამართზე: **ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი** 89/24, III **სართ.** მობ.: 599–26–40–49; 568-91-01-16. ტელ291-01-16; E-mail: archunion_geo@yahoo.com

7.5. საკონკურსო მასალები უნდ ა შეიც ავდეს:

1. მსუბუქ პლანშეტებზე ამობეჭდილ პროექტს.
2. განმარტებით ბარათს.
3. დალუქულ კონვერტს, სადაც ასახულია მონაცემები ავტორის ან ავტორთა შესახებ
4. CD/DVD დისკს, რომელიც შეიცავს საკონკურსო მასალებს მთლიანად.

ოთხივე დოკუმენტზე მასალის იდენტიფიცირების მიზნით, როგორც უმთავრესი პირობა, დატანილი უნდა იყოს სარეგისტრაციო კოდი, რომელიც მიენიჭება საკონკურსო მასალის ჩაბარების დროს.

7.6. საკონკურსო პროექტების გამოფენა გაიხსნება 2020 წლის 27 თებერვალს 19.00 საათზე დაბა ბაკურიანში, სასტუმრო "კრისტალი"–ს საგამოფენო სივრცეში.

7.7. კონკურსის ჟიური იმუშავებს 2020 წლის 28-29 თებერვალს.

7.8. შედეგები გამოცხადდება 2020 წლის 29 თებერვალს 19.00 საათზე დაბა ბაკურიანში. სასტუმრო „კრისტალი"–ს საგამოფენო სივრცეში საზეიმო სხდომაზე.

8. **კონკურსის ჟიური**:

8.1. კონკურსში გამარჯვებული პროექტების გამოსავლენად იმუშავებს საკონკუსო ჟიური, შვიდი წევრის შემადგენლობით, რომლებიც წარმოდგენილნი არიან კონკურსის ორგანიზატორის, დამკვეთისა და კონკურსის მხარდამჭერების მხრიდან პარიტეტულად.

ა. **კონკურსის ორგანიზატორი - საქართველოს არქიტექტორთა კავშირი**:

1. **დავით აბულაძე** – საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე
2. **დავით ახვლედიანი** – საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი

ბ. **კონკურსის დამკვეთი - საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მოთხილამურე არქიტექტორთა კლუბი** "SKIA" :

3. **გოჩა მიქიაშვილი** – მოთხილამურე არქიტექტორთა კლუბი "SKIA"-ს პრეზიდენტი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი.

4. **გაგა კიკნაძე** – არქიტექტორი, მოთხილამურე არქიტექტორთა კლუბი SKIA–ს წევრი.

გ. **კონკურსის მხარდამჭერი**:

5. **გიორგი ბახსოლიანი** – ელექტროსამონტაჟო ფირმა "ინსტა"–ს ხელმძღვანელი
6. **გიორგი სულაბერიძე** – არქიტექტურული ფირმა "არტსტუდიო"–ს ხელმძღვანელი
7. **გიორგი ჭკუასელი** – არქიტექტურული ფირმა "არტლაბი"–ს ხელმძღვანელი

8.2. **კონკურსის ჟიურის** თავმჯდომარე და მდივანი აირჩევიან ჟიურის შემადგენლობიდან ჟიურის პირველ სხდომაზე ფარული ან ღია კენჭისყრით, ხმების უბრალო უმრავლესობით.
8.3. **კონკურსის ჟიურის** თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმების თანაბარი განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს ჟიურის თავმჯდომარეს.
8.4. **კონკურსის ჟიური** თავის გადაწყვეტილებას აფიქსირებს შესაბამის ოქმში, სადაც მკაფიოდ ფიქსირდება ჟიურის თითეული წევრის დამოკიდებულება პროექტებისადმი. ოქმი საჯაროა და შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, ასლის სახით გადაეცემა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.
8.5. **კონკურსის ჟიურის** უფლება აქვს, საკონკურსო პროექტების შემოუსვლელობის შემთხვევაში ან/და შემოსული პროექტების არასათანადოდ წარდგენის შენთხვევაში, კონკურსი გამოაცხადოს არშემდგარად, რაც ფორმდება საკონკურსო ჟიურის სხდომის სათანადო ოქმით და ქვეყნდება იმავე გზით, რომლითაც გამოცხადდა კონკურსი.
ასეთ შემთხვევაში კონკურსი ცხადდება ახალი ვადით და იმავე საკონკურსო პირობებით, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ არქიტექტურული სკოლის სტუდენტს.
8.6. ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ შეიძლება გადაიხედოს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც საკითხზე არსებობს საქართველოს კანონმდებლობით მიღებული სხვა ტიპის გადაწყვეტილება.

9. **საკონკურსო პრემიები**:

9.1. **საკონკურსო ჟიური** კონკურსში გამოავლენს ორ საუკეთესო პროექტს, რომლებსაც ჯილდოს სახით გადაეცემათ საქართველოს არქიტექტორთა კავშირის სპეციალური პრიზები და დიპლომები.

9.2 კონკურსის მხარდამჭერი არქიტექტურული ფირმები "არტსტუდიო" და "არტლაბი" თითეული გამარჯვებული პროექტის ერთი ავტორისათვის უზრუნველყოფენ ოთხთვიან სტაჟირებას საკუთარ არქიტექტურულ სტუდიებში.

9.3. საქართველოს არქიტექტორთა კავშირისა და კლუბი-SKIA-ს მიერ, კონკურსზე დაშვებულ ყველა რეგისტრირებული პროექტის ავტორს (ავტორთა ჯგუფს) გადაეცემა მონაწილის სერტიფიკატი.

10. პასუხისმგებლობები:

10.1. კონკურსის პროგრამას და პირობებს აქვს ხელშეკრულების ძალა კონკურსანტებსა და ორგანიზატორსა შორის, შესაბამისად მათ შორის შესაძლო დავების რეგულირება ხდება ამ ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. ჟიურის წევრებს, ჟიურის პასუხისმგებელ მდივანს, კონკურსის პროგრამისა და პირობების შემდგენელს უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ საკონკურსო პროექტის დამუშავებაში ნებისმიერი სახით. კონკურსის დასრულებამდე მათ ეკრძალებათ ჟიურის მუშაობასა და საკონკურსო პროექტების ექსპერტიზასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება.

10.3.
ა) კონკუსში გამარჯვებული პროექტები და მათი ელექტრონული ვერსია (CD/DVD) გადადის ორგანიზატორის საკუთრებაში.
ბ) პროექტების პუბლიკაცია, საჯარო გამოფენა (გარდა კონკურსის პირობებით გათვალისწინებული პირობებისა) შესაძლებელია მხოლოდ ავტორებთან შეთანხმებით.
გ) ყველა პროექტი წარმოადგენს "საქართველოს კანონის საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ" დაცვის საგანს.
10.4. კონკურსის დამთავრების შემდეგ დამკვეთი და ორგანიზატორი თავისი ხარჯებით ათავსებს ვებ-გვერდებზე მონაწილე პროექტების კატალოგს.
10.5. არაპრემირებული პროექტები (საკონკურსო მასალა) ავტორებს უკან უბრუნდებათ კატალოგის ვებ გვერდზე განთავსების შემდეგ, მოთხოვნის შესაბამისად.

11. საპროექტო დავალება:

11.1. ობიექტის ფუნქციიდან გამომდინარე, დაპროექტებისას გათვალისწინებულ იქნას სამშენებლო ნორმების, წესების, წინამდებარე პროგრამისა და პირობების მოთხოვნები.
11.2. ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე სახურავის კეხის ჩათვლით მიწის ნიშნულიდან 10 მეტრი, მიწის ზემოთ არაუმეტეს 2 სართულისა (მათ შორის შეიძლება იყოს მანსარდა).
11.3. ობიექტი კონსტრუქციულად გადაწყვეტილი უნდა იყოს მარტივი სქემით. ამასთან, სასურველია წარმოდგენილ იქნას ობიექტის საინჟინრო-კონსტრუქციული გადაწყვეტის პრინციპული მოსაზრება და ენერგოეფექტურობის განმსაზღვრელი წინადადებები.
11.4. ტერიტორიაზე გათვალისწინებულ იქნას ავტომობილებისათვის მისასვლელები და სადგომი 4 ავტომობილზე.
11.5. **სამთო მოთხილამურეთა მაშველთა სახლის სათავსოთა ფართები და შემადგენლობა**:

1. ტამბური	- 5 მ^2
2. თხილამურის და სხვა ინვენტარის ოთახი	–10 მ^2
3. სამედიცინო მიმღები, სანკვანძით.	- 15 მ^2
4. ორი ორადგილიანი ოთახი მაშველთათვის, სანკვანძებით. თითოეული	-16 მ^2
5. საერთო ოთახი	-25 მ
6. სამზარეულო	-10 მ^2

7. საერთო სანკვანძი (საშხაპე და ტუალეტი) - 3 მ²
8. ინვენტარის საწყობი–საკუჭნაო – 12 მ²
9. დამხმარე სამეურნეო ოთახი (საქვაბე, ელექტროფარი) – 8 მ²
10. ფარეხი 2 სკუტერზე – 15 მ²

ფართები საორიენტაციოა და დასაშვებია მათი ცვლილება 10%–ის ფარგლებში

11.6. შენობის ფასადების მოპირკეთებისას მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ადგილობრივი სამშენებლო ქვა და ხის მასალა.
11.7. გათვალისწინებულ იქნას სათავსების ინსოლაცია-განიავების და მხარეების მიმართ ორიენტაციის ოპტიმალური გადაწყვეტა.
11.8. გათვალისწინებულ იქნას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მომსახურების უზრუნველყოფის ღონისძიებები.
11.9. გააზრებულ იქნას ობიექტის ღამის არქიტექტურული განათება.
11.10. განმარტებით ბარათში უნდა იყოს მოცემული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

12. **პროექტის შემადგენლობა**

1. სქემატურად (სიტუაციური გეგმა)	მ. 1:1000
2. გენერალური გეგმა ზოგად ტოპოძირზე	მ. 1:500
3. ყველა განსხვავებული სართულის გეგმები	მ. 1:100 / 1:200
4. მახასიათებელი ჭრილი (მინიმუმ ორი)	მ. 1:100 / 1:200
5. ფასადები (მინიმუმ სამი)	მ. 1:100 / 1:200
6. ინტერიერის რენდერები (ვიზუალიზაცია)	მინიმუმ ორი
7. შენობის ფოტომონტაჟი მთიან ლანდშაფტში	მინიმუმ ორი

13. **შეფასების კრიტერიუმები**:

ა) შესაბამისობა პროგრამასთან და საკონკურსო მოთხოვნების სრულყოფილად შესრულება - - 10% .
ბ) ფუნქციური და კონსტრუქციული გადაწყვეტა, განხორციელების რეალურობა -20%.
გ) პროექტში მოცემული საერთო სამშენებლო ფართის ოპტიმალური გამოყენება -20%.
დ) არქიტექტურულ-მხატვრული დონე, არსებულ გარემოსთან ორგანული თავსებადობა მიზანშეწონილობა, მოცულობითი და მხატვრული თანაზომადობა - 40%.
ე) ენერგოეფექტურობა და ადგილობრივი სამშენებლო მასალის გამოყენება - 10 %

დამატებითი მასალა შესაძლებელია შეირჩეს ავტორების შეხედულებისამებრ, პირობებით დაშვებული საექსპოზიციო ფართის ფარგლებში.